



ევროკავშირი
საქართველოსთვის

Project funded by the European Union



ASSOCIATION OF YOUNG
ECONOMISTS OF GEORGIA



საქართველოს სტრატეგიული
კვლევებისა და განვითარების ცენტრი

საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციის იმერეთის წარმომადგენლობა

კორპორაციული მართვის მნიშვნელობა და კორპორაციული ანგარიშგების სისტემა საქართველოში



2022 წელი

ეს პუბლიკაცია შექმნილია “საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის” მხარდაჭერით ევროკავშირისა და კონრად ადენაუერის ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის "სამოქალაქო საზოგადოების ინიციატივა: მდგრადი, ღია და ანგარიშვალდებული სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები საქართველოს განვითარებისთვის" ფარგლებში. მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაცია და შესაძლოა, რომ ის არ გამოხატავდეს ევროკავშირისა და კონრად ადენაუერის ფონდის შეხედულებებს.

პროექტს ახორციელებს კონსორციუმი კონრად ადენაუერის ფონდის (KAS), ხელმძღვანელობით შემდეგ არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად - საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი (CSRDG), სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი (CSI), კონსულტაციის და ტრენინგის ცენტრი (CTC), განათლების, განვითარების და დასაქმების ცენტრი (EDEC), და ევროპული პოლიტიკის ინსტიტუტი (IEP).

პუბლიკაციის ავტორები:

პაატა კლდიაშვილი

ლევან ოყრეშიძე

შინაარსი

04

კორპორაციული მართვის მნიშვნელობა

07

კორპორაციული ანგარიშგების სისტემა
საქართველოში

11

კორპორაციული ანგარიშგების წარმოების
მიმართულებით ევროკავშირთან ასოცირების
შეთანხმებით აღებული ვალდებულებების
შესრულების მიმდინარეობა

1. კორპორაციული მართვის მნიშვნელობა

კორპორაციული მართვის საკითხები თანამედროვე პირობებში სულ უფრო მეტ აქტუალობას იძენს. თუ ადრე კორპორაციული მართვის პრინციპების დანერგვით მხოლოდ მსხვილი კომპანიები ინტერესდებოდნენ, დღეს უკვე საშუალო ზომის კომპანიებიც ცდილობენ კორპორაციული მართვის თანამედროვე სისტემების გამოყენებას.

„ტერმინი „კორპორაციული მართვა“ (Corporate Governance) პირველად 1984 წელს გამოიყენა პროფესორმა რობერტ იან (ბობ) ტრიკერმა თავისი ნაშრომის სათაურად და ის დღემდე სამართლიანად ითვლება ამ ტერმინის ფუძემდებლად“[1].

კორპორაციული მართვის მიზანია ხელი შეუწყოს კომპანიის გონივრულ, ეფექტიან, შედეგზე ორიენტირებულ მართვას, რომელსაც შეუძლია მისი გრძელვადიანი წარმატების უზრუნველყოფა.

თანამედროვე პირობებში „კორპორაციულ მართვას“ განიხილავენ ვიწრო და ფართო გაგებით. ვიწრო გაგებით „კორპორაციული მართვა“ გულისხმობს ურთიერთობას კომპანიის მენეჯმენტსა და აქციონერებს შორის, ბიზნესის ეფექტიანი მართვის უზრუნველსაყოფად. ხოლო ფართო გაგებით, ის გულისხმობს არა მხოლოდ კომპანიის და აქციონერების ურთიერთობას, არამედ ამ ურთიერთობაში სხვა დაინტერესებული მხარეების მონაწილეობასაც, როგორცაა ინვესტორები, კრედიტორები, შესაბამისი საჯარო სტრუქტურები და ფართო საზოგადოება. ანუ ყველა ის მხარე, რომელიც სხვადასხვა მიზნით დაინტერესებულია კომპანიის ეფექტიანი მართვით და გარკვეულ პირდაპირ, თუ არაპირდაპირ სარგებელს იღებს ზოგადად ბიზნესის განვითარებიდან.

მსოფლიო გამოცდილებით, კორპორაციული მართვის სისტემა შეიძლება აგებული იქნეს პრინციპებზე დაფუძნებულ მიდგომაზე, ან წესებზე/კანონებზე დაფუძნებულ მიდგომაზე. პირველი მათგანი ეყრდნობა დაშვებას, რომ კომპანიის საუკეთესოდ მართვა მისსავე ინტერესებში შედის, შესაბამისად კომპანია თავად იღებს გადაწყვეტილებას კორპორაციული მართვის თანამედროვე, მაქსიმალურად ეფექტიანი სისტემების გამოყენების შესახებ. მეორე შემთხვევაში კი, კორპორაციული მართვის სტანდარტები კანონით არის დადგენილი და შესაბამისად, მისი გამოყენება გარკვეული კატეგორიის კომპანიებისათვის სავალდებულოა. ეს მიდგომა მსოფლიოს არაერთ ქვეყანაში, მათ შორის აშშ-ში გამოიყენება, სადაც ე.წ. სარბანეს-ოქსლეს აქტით დადგენილია







[1] ჟღენტი ვ. კორპორაციული მართვის ღიაობა და ინფორმაციული განჭვრეტადობა საქართველოში: გამოწვევები და სრულყოფის გზები, 2016 წ.

დეტალური სამართლებრივი რეგულაციები კორპორაციული მართვის კუთხით. იგივე შეიძლება ითქვას ევროკავშირის ქვეყნებთან მიმართებაშიც, სადაც ევროპული დირექტივები არეგულირებენ კორპორაციული მართვის, მათ შორის კორპორაციული ანგარიშგების სისტემას.

ეფექტიანი კორპორაციული მართვის სისტემის ჩამოყალიბება და მისი გაუმჯობესება ნებისმიერი ქვეყნის მუდმივი ზრუნვის საგანია, ვინაიდან ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფა უფრო და უფრო დამოკიდებულია კონკურენტუნარიანი კერძო სექტორის განვითარებაზე. თუმცა, ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია განვითარებადი ქვეყნებისათვის, რათა შექმნან ინსტიტუციური საფუძველი მდგრადი ეკონომიკური ზრდისათვის, ხელი შეუწყონ კაპიტალის ეფექტურ განაწილებას და ფინანსური ბაზრების განვითარებას, ასევე შექმნან მნიშვნელოვანი წინაპირობა ინვესტიციების (მ.შ. უცხოური) მოზიდვისათვის.

თანამედროვე კორპორაციული მართვის ძირითადი პრინციპებია: ანგარიშვალდებულება, გამჭვირვალობა, პასუხისმგებლობა და ბიზნესთან დაკავშირებული რისკების მართვა.

ეფექტიანი კორპორაციული მართვა:

-  **ზრდის ინვესტორთა, პარტნიორთა და ზოგადად საზოგადოების ნდობას კომპანიისადმი;**
-  **ხელს უწყობს კომპანიის საქმიანობასთან დაკავშირებული რისკების შემცირებას;**
-  **ამაღლებს კომპანიის რეპუტაციას და შესაბამისად, ზრდის კომპანიის ბრენდის ღირებულებას;**
-  **ხელს უწყობს კომპანიის მართვასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების ოპერატიულ მიღებას;**
-  **ზრდის პერსონალის მოტივაციას და ამცირებს მათ დენადობას;**
-  **მინიმუმამდე ამცირებს კანონმდებლობის თუ მარეგულირებელი ნორმების დარღვევის შემთხვევებს და შესაბამისად, მათთან დაკავშირებული სანქციების რისკებს.**

ყოველივე ეს კი, თავის მხრივ, ქმნის მნიშვნელოვან წინაპირობას კომპანიის და ბიზნესის გაფართოებისა და განვითარებისათვის, რაც ნიშნავს ახალი სამუშაო ადგილების შექმნას, გაზრდილ შემოსავლებს და შესაბამისად, გაზრდილ შენატანებს ბიუჯეტში და საბოლოო ჯამში, საზოგადოებრივი კეთილდღეობის გაუმჯობესებას.

ხოლო, რას იწვევს არაეფექტიანი კორპორაციული მართვა, რა უარყოფითი შედეგები მოუტანია მას არაერთი მსხვილი, წარმატებული და ცნობილი კომპანიისათვის, ამის უამრავი მაგალითი არსებობს მსოფლიოში, მათგან ერთ-ერთი გამორჩეული კი არის მსხვილი ამერიკურული კომპანია ენრონის (Enron) შემთხვევა, რომელიც 2001 წელს გახდა ცნობილი.

კომპანია ენრონი ძირითადად საქმიანობდა ენერჯეტიკის სექტორში და მისი აქტივების ღირებულება შეადგენდა 60 მილიარდ აშშ დოლარზე მეტს, თუმცა გაზრდილი კონკურენციის გამო, კომპანიის მენეჯმენტმა გადაწყვიტა გაეყალბებინა სააღრიცხვო ჩანაწერები, კერძოდ ეჩვენებინათ არარეალურად დიდი მოგებები ცალკეული კონტრაქტებიდან და დაემალათ (არ აესახათ აღრიცხვაში) პრობლემური ოპერაციების შედეგები, რამაც საერთო ჯამში შექმნა არასწორი წარმოდგენა კომპანიის მომგებიანობის შესახებ. ამ ქესში ერთერთი მნიშვნელოვანი მომენტი იყო ის, რომ ენრონის აუდიტს იმხანად ატარებდა მსოფლიოს უდიდესი 5 აუდიტორული კომპანიიდან ერთ-ერთი - არტურ ანდერსენი (Arthur Andersen LLP), რომელიც აუდიტორული შემოწმებისას თვალს ხუჭავდა არსებულ სიყალბეებზე.

აღნიშნული ფაქტების გამჟღავნების შედეგად, საბოლოო ჯამში, კომპანია ენრონი გაკოტრდა, ისევე როგორც ბაზრიდან გაქრა მსოფლიოს ერთერთი უმსხვილესი აუდიტორული კომპანია არტურ ანდერსენი.

კიდევ ერთი მსოფლიო მასშტაბის სკანდალი და ამავე დროს სანიმუშო მაგალითი ეფექტიანი კორპორაციული მართვის არ არსებობის, არის კომპანია ფოლკსვაგენის (Volkswagen) შემთხვევა. როგორც 2015 წელს გახდა ცნობილი, კომპანია ამერიკული და ევროპული ბაზრისათვის განკუთვნილ ცალეული მოდელის დიზელის ძრავიან ავტომობილებში მიზანმიმართულად აყენებდა სპეციალურ სისტემას, რომელიც არაობიექტურად აჩვენებდა გამონაბოლქვის დაბალ მონაცემებს.

ფაქტის გამჟღავნების შედეგად, პირველივე დღეებში კომპანიის აქციებმა დაკარგა ღირებულების თითქმის ნახევარი, ხოლო პირველი სრული თვის განმავლობაში, დაახლოებით 4,5%-ით დაეცა კომპანიის გაყიდვები. ამას მოჰყვა სასამართლო პროცესები და სამართლებრივი დავები მთელ რიგ ქვეყნებში, მათ შორის აშშ-ში, რის შედეგადაც კომპანიას მოუწია, უკან გამოეწვია 8,5 მილიონი ავტომობილი მხოლოდ ევროპის ბაზრიდან და ასევე გადაეხადა 4,3 მილიარდი აშშ დოლარი, ჯარიმის სახით, აშშ-ს სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე.

ყოველივე ეს კი გამოწვეული იყო სწორედ არაეფექტიანი კორპორაციული მართვით. კერძოდ, კომპანია ფოლკსვაგენის მართვის უმაღლესი ორგანოები იყო მმართველი საბჭო და სამეთვალყურეო საბჭო. მმართველი საბჭო იღებდა ძირითად მმართველობით გადაწყვეტილებებს, ხოლო სამეთვალყურეო საბჭო ახდებდა მენეჯმენტის მონიტორინგსა და კორპორაციული გადაწყვეტილებების დამტკიცებას. თუმცა, მას არ ჰქონდა რეალური დამოუკიდებლობა, ვინაიდან მისი შემადგენლობის დაახლოებით 90%-ს აკონტროლებდა მმართველი საბჭო. შესაბამისად, სამეთვალყურეო საბჭოს მონიტორინგი მხოლოდ ფორმალურ ხასიათს ატარებდა და არ წარმოადგენდა პოტენციური პრობლემების პრევენციის და აღმოფხვრის ეფექტიან მექანიზმს, რამას დიდი ფინანსური და რეპუტაციული ზარალი მოუტანა კომპანიას.

2. კორპორაციული ანგარიშგების სისტემა საქართველოში

ეფექტიანი კორპორაციული მართვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ინსტრუმენტი არის კორპორაციული ანგარიშგების სისტემა, რომელიც აჩვენებს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას და მომგებიანობას, ახასიათებს მის გადახდისუნარიანობას და ლიკვიდურობას, ინფორმაციას იძლევა განვითარების მიმდინარე ტენდენციების და სამომავლო პერსპექტივების შესახებ.

საქართველოს და ევროკავშირს შორის, 2014 წელს, ასოცირების შესახებ გაფორმებული შეთანხმებით, სხვა არაერთ საკითხთან ერთად გათვალისწინებულია ქვეყანაში კორპორაციული ანგარიშგების თანამედროვე ევროპული სისტემის დანერგვა. თავის მხრივ, ევროკავშირს, საკუთარი დირექტივით (ევროპარლამენტისა და საბჭოს დირექტივა 2013/34/EU – „ზოგიერთი კატეგორიის საწარმოს წლიური ფინანსური ანგარიშგებების, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებების და დაკავშირებული ანგარიშების შესახებ“) წევრი სახელმწიფოებისათვის დადგენილი აქვს სტანდარტი კორპორაციული ანგარიშგების წარმოების შესახებ. ასევე, მოქმედებს 2002 წლის 19 ივლისის ევროპარლამენტისა და საბჭოს N1606/2002 რეგულაცია საერთაშორისო საბუღალტრო სტანდარტების გამოყენების შესახებ.

ასოცირების შესახებ შეთანხმების გაფორმებით, საქართველომ აიღო ვალდებულება, უზრუნველყოს იგივე სტანდარტის მოთხოვნების შესაბამისი კორპორაციული ანგარიშგების სისტემის დანერგვა ქვეყანაში. აღებული ვალდებულებების შესაბამისად, საქართველოს პარლამენტმა 2016 წლის 8 ივნისს დაამტკიცა **საქართველოს კანონი ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ**. მასში ასოცირების შეთანხმებით აღებული ვალდებულებების შესაბამისად, მოცემულია ზემოთ აღნიშნული ევროპული დირექტივისა და რეგულაციის მოთხოვნების შესაბამისი, საქართველოში ბიზნეს სუბიექტების მიერ გამოსაყენებელი კორპორაციული ანგარიშგების სისტემა – სტრუქტურა, ფორმატი, მომზადებისა და გამოქვეყნების წესი.

კორპორაციული ანგარიშგების სისტემა საქართველოში მოიცავს:

- ფინანსურ ანგარიშგებას;
- მმართველობის ანგარიშგებას;
- სახელმწიფოს მიმართ განხორციელებული გადახდების ანგარიშგებას.

ფინანსური ანგარიშგება, რომელიც კანონის შესაბამისად მზადდება არანაკლებ წელიწადში ერთხელ, თავის მხრივ, მოიცავს ხუთ კომპონენტს, ესენია:

- ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება (ბალანსი) – იძლევა ინფორმაციას კომპანიის აქტივების, ვალდებულებებისა და საკუთარი კაპიტალის შესახებ, როგორც მიმდინარე/საანგარიშო პერიოდის ბოლოსათვის, ისე წინა (შესადარისი) პერიოდების მიხედვით;
- საქმიანობის შედეგების ანგარიშგება (მოგება-ზარალის ანგარიშგება) – იძლევა ინფორმაციას საანგარიშო პერიოდის განმავლობაში კომპანიის მიერ განხორციელებული საქმიანობის შედეგად მიღებული მოგების ან ზარალის შესახებ, ისევე როგორც, აჩვენებს წინა პერიოდის საქმიანობის შედეგებს;
- ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებას – აჩვენებს კომპანიაში ფულადი სახსრების შემოდინებას და გადინებას პერიოდის განმავლობაში, ისევე როგორც ფულადი საშუალებების საწყის და საბოლოო ნაშთებს;
- ანგარიშგებას საკუთარი კაპიტალის შესახებ – აჩვენებს საკუთარი კაპიტალის მოცულობას და სტრუქტურას პერიოდის ბოლოსა და დასაწყისისათვის;
- სააღრიცხვო პოლიტიკა და ახსნა-განმარტებითი შენიშვნები – იძლევა ერთი მხრივ, ინფორმაციას კომპანიის მიერ ფინანსური აღრიცხვის წარმოებისას, შესაბამისი სტანდარტებით დადგენილი კონკრეტული მიდგომების შესახებ, ხოლო მეორე მხრივ, განმარტებით ინფორმაციას, ფინანსური ანგარიშგების პირველ ოთხ კომპონენტში წარმოდგენილი რიცხობრივი მონაცემების შესახებ.

მმართველობის ანგარიშგება. მოქმედი კანონით, საქართველოს ისტორიაში პირველად, საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის შემდეგ, 2018 წლიდან მსხვილი კომპანიებისათვის (სდპ-ებისა და პირველი და მეორე კატეგორიის სანარმოებისათვის) სავალდებულოდ განისაზღვრა მმართველობის ანგარიშგების მომზადება და ბუღალტრული აღრიცხვის, აგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურისათვის წარდგენა და გამოქვეყნება.

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მიხედვით, ევროდირექტივის მოთხოვნების შესაბამისად, მმართველობის ანგარიშგება შედგება შემდეგი კომპონენტებისაგან:

- საქმიანობის მიმოხილვა - მოიცავს ინფორმაციას სუბიექტის განვითარების გეგმების შესახებ, წარმოებული კვლევებისა და მისი განვითარების მიმოხილვას, ინფორმაციას ფილიალების საქმიანობის შესახებ, ინფორმაციას საქმიანობასთან დაკავშირებული რისკების და მათი მართვის მექანიზმების შესახებ, ასევე საკუთარი აქციების შეძენის შესახებ ინფორმაციას;
- კორპორაციული მართვის ანგარიშგება - მოიცავს, სულ მცირე, სუბიექტისათვის სავალდებულო, ან სუბიექტის მიერ საკუთარი სურვილით შერჩეული (არსებობის შემთხვევაში) კორპორაციული მართვის კოდექსის მიმოხილვას, შიდა კონტროლისა და რისკების მართვის სისტემების მიმოხილვას, აქციონერთა და აქციონერთა საერთო კრების უფლებების და მათი განხორციელების წესების მიმოხილვას, მმართველობითი ორგანოს და სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობისა და ფუნქციონირების მიმოხილვას, ისევე როგორც მათ მიმართ გამოყენებული დივერსიფიკაციის პოლიტიკის მიმოხილვას;
- არაფინანსური ანგარიშგება - მზადდება იმ საზოგადოებრივი დაინტერესების სუბიექტების მიერ, რომელშიც დასაქმებული პირების საშუალო წლიური რაოდენობა აღემატება 500-ს და მოიცავს სულ მცირე გარემოს დაცვის, სოციალური, დასაქმების, ადამიანის უფლებების დაცვისა და კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებზე სუბიექტის საქმიანობის განვითარების, შედეგებისა და მდგომარეობის ზეგავლენის დასადგენად აუცილებელ ინფორმაციას.

სახელმწიფოს მიმართ განხორციელებული გადახდების ანგარიშგება.

საქართველოს კანონით ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ, გათვალისწინებულია სახელმწიფოს მიმართ განხორციელებული გადახდების შესახებ ანგარიშგების მომზადება–წარდგენა 2018 წლიდან, მსხვილი კომპანიებისათვის (საზოგადოებრივი დაინტერესების პირები და პირველი კატეგორიის საწარმოები), რომელთა საქმიანობა მოიცავს წიაღით სარგებლობას (მათ შორის, ნავთობისა და გაზის მოპოვებას), ან ბუნებრივი წარმოშობის ტყეში ხე-ტყის დამზადებას.

ანგარიშგებაში უნდა აისახოს სახელმწიფოსათვის მოგების გადასახადის, სალიცენზიო და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების, ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის რეგულირების საფასურის, როიალტის, დივიდენდის, „ნავთობისა და გაზის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ბონუსის, ქირისა და საკონცესიო გადასახადის სახით, ფულადი ან ნატურალური ფორმით გადახდილი ის თანხები, რომლებიც საანგარიშგებო პერიოდში/წელში გადახდის ამ თითოეული სახისათვის ერთჯერადად ან ჯამურად 100 ათას ლარს აღემატება.

კანონის შესაბამისად, სახელმწიფოს მიმართ განხორციელებულ გადახდებად ითვლება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში გადახდილი ნებისმიერი თანხა, ადმინისტრაციული ორგანოს და/ან იმ საწარმოს მიმართ განხორციელებული გადახდები, რომელშიც სახელმწიფო წილობრივი მონაწილეობა 50%-ს აღემატება, აგრეთვე სხვა ქვეყნის სახელმწიფო, რეგიონული და ადგილობრივი ორგანოების მიმართ განხორციელებული გადახდები.

3. კორპორაციული ანგარიშგების წარმოების მიმართულებით ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებით აღებული ვალდებულებების შესრულების მიმდინარეობა

საქართველოს ხელისუფლებამ, ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებით, კორპორაციული ანგარიშგების გაუმჯობესების მიმართულებით, აღებული ვალდებულებების შესრულების უზრუნველსაყოფად, როგორც ზემოთ აღინიშნა, 2016 წლის 8 ივნისს მიიღო საქართველოს კანონი ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ.


აღნიშნული კანონი, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით შეესაბამება ასოცირებით შეთანხმებით გათვალისწინებული ევრო დირექტივების მოთხოვნებს კორპორაციული ანგარიშგების რეგულირების კუთხით, ცალკეული საკითხები კი, სადაც არსებობს გარკვეული განსხვავებები, მნიშვნელოვან გავლენას ვერ ახდენენ საერთო შესაბამისობაზე და ვერ ცვლიან კორპორაციული ანგარიშგების ეროვნული სისტემის ევროპული მოდელით ჩამოყალიბება-განვითარების კურსს. თუმცა, ეს სრულებით არ ნიშნავს იმას, რომ არსებული ნორმატიული ბაზა, მათ შორის კანონი, იდეალურია და არ საჭიროებს შემდგომ დახვეწას. ერთერთი პირველი საკითხი, რაც ამ კონტექსტში უნდა დაისვას, არის ის, რომ კანონი აუცილებლად ვრცელდებოდეს ყველა ბიზნეს სუბიექტზე და არ არსებობდნენ ქვეყანაში კერძო სამართლის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის სუბიექტები, მიუხედავად მათი ზომისა, რომელთა აღრიცხვა-ანგარიშგება არ ხვდება აღნიშნული კანონის რეგულირების სფეროში. კერძოდ, აღნიშნულმა კანონმა შემოიღო საწარმოთა ზომით კატეგორიებად დაყოფა, რომლის თანახმადაც, სამი ეკონომიკური მაჩვენებლის - აქტივების ჯამური ღირებულების, შემოსავლის და დასაქმებულთა რაოდენობის მიხედვით, დადგენილია საწარმოთა ოთხი ზომითი კატეგორია: **პირველი, მეორე, მესამე და მეოთხე**[2] (იხ. ცხრილი 1). მათ გარდა, ასევე გამოიყოფა ცალკე ჯგუფი - საზოგადოებრივი დაინტერესების პირი (სდპ). თუმცა აქვე უნდა ითქვას, რომ აღნიშნული კლასიფიკაცია ვერ მოიცავს ყველა სამეურნეო სუბიექტს და შესაბამისად, მათი ნაწილი რჩება საკანონმდებლო რეგულაციების მიღმა, კერძოდ, ინდივიდუალური მენარმეები, რომლებიც არ მიეკუთვნებიან მესამე, მეორე ან პირველ კატეგორიას, არ შეიყვანებიან არც მეორთხე კატეგორიაში. რაც არ შეესაბამება ზემოთ აღნიშნული ევრო დირექტივის მოთხოვნებს.


[2] საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი საწარმოთა მეოთხე კატეგორია შეესაბამება განხილული ევრო დირექტივით დადგენილ მიკრო საწარმოთა კატეგორიას, მესამე – მცირე, მეორე – საშუალო, ხოლო პირველი – დიდ საწარმოს.

ცხრილი 1. საწარმოთა ზომითი კატეგორიები საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად

მაჩვენებელი	IV კატეგორია (არა უმეტეს)	III კატეგორია (არა უმეტეს)	II კატეგორია (არა უმეტეს)	I კატეგორია (მეტი, ვიდრე)
აქტივების ჯამური ღირებულება	1 000 000 ლ	10 000 000 ლ	50 000 000 ლ	50 000 000 ლ
წმინდა ბრუნვა	2 000 000 ლ	20 000 000 ლ	100 000 000 ლ	100 000 000 ლ
დასაქმებულთა საშუალო წლიური ოდენობა	10	50	250	250

მეორე მხრივ, არა ნაკლებ მნიშვნელოვანი საკითხი არის კორპორაციული ანგარიშგების მომზადება-წარდგენის პრაქტიკის შესაბამისობის შეფასება ზემოთ აღნიშნული ეროვნული კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან, ვინაიდან გამართული საკანონმდებლო და ნორმატიული ბაზა არის გამართული კორპორაციული ანგარიშგების მომზადების აუცილებელი, მაგრამ არა საკმარისი პირობა. ამ კუთხით კი შეიძლება ითქვას, რომ საბრუნავი კიდევ უფრო ბევრია, კერძოდ:

 IV კატეგორიის საწარმოების ანგარიშების გასაჯაროების პროცედურა, რომელიც დადგენილი არის სსიპ ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მიერ, სამსახურის უფროსის ბრძანებით, სასწრაფო წესით საჭიროებს ცვლილებას, რათა მან ეფექტიანად უზრუნველყოს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს მოქმედი კანონის მე-9 მუხლით, დაინტერესებული პირისათვის დადგენილი უფლების რეალიზაცია პრაქტიკაში;

 მიზანშეწონილია მომზადდეს, საქართველოს კანონში ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ, ცვლილების პროექტი, რომელიც სსიპ ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურს განუსაზღვრავს უფრო კონკრეტულ ჩარჩოს მეოთხე კატეგორიის საწარმოების ანგარიშგების გასაჯაროებისათვის, ისევე როგორც ეს არის დადგენილი სხვა კატეგორიის საწარმოებთან მიმართებაში;



ფინანსური ანგარიშგებების ხარისხი მაღალია სანარმოთა ზომითი კატეგორიის ზრდის შესაბამისად. მსხვილ სანარმოებში, მიუხედავად იმისა, რომ მათი ფინანსური ანგარიშგება უფრო რთული და კომპლექსურია, როგორც წესი, ნაკლები ხარვეზები გვხვდება, ვიდრე საშუალო და მცირე ზომის სანარმოებში. რაც იმას ნიშნავს, რომ მსხვილ კომპანიებს მეტი შესაძლებლობა/რესურსი აქვთ ხარისხიანი ანგარიშგების მომზადებისათვის, ვიდრე მცირე ზომის კომპანიებს.



მმართველობის ანგარიშგების მომზადების პრაქტიკა ჯერ კიდევ ახალია ქვეყანაში, რაც არის ლოგიკური მიზეზი, მმართველობის ანგარიშგებებში გამოვლენილი ხარვეზების დიდი ოდენობისა. შესაბამისად, შეიძლება ლოგიკურად ვივარაუდოთ, რომ მარეგულირებელი ორგანოს მხრიდან პროცესის სწორი ადმინისტრირების პირობებში, უახლოეს მომავალში მმართველობის ანგარიშგებების საშუალო ხარისხი ქვეყანაში ამაღლდება. სწორი ადმინისტრირება გულისხმობს ერთი მხრივ, ნორმატიული ბაზის შემდგომ გაუმჯობესებას და მეორე მხრივ, მუდმივ ზრუნვას შესაბამისი კადრების კვალიფიკაციის ზრდაზე.